# ონლაინ ვაჭრობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ნინო აბუთიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საბანკო საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკაკი ლიქოკელი, ეკონომიკის მაგისტრი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების (იანვარი, 2023 წელი) და აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (იანვარი, 2023 წელი).*

*ნინო, აბუთიძე,*

*ნ.აბუთიძე 5/31/2023 წელი.“*

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „ონლაინ ვაჭრობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“ საუბარია, საქართველოში ონლაინ ვაჭრობის განვითარების ტენდენციებზე. წარმოდგენილია ქართული ონლაინ მაღაზიების ტიპები, თავისებურებები და კლასიფიკაცია. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს: რა გავლენა აქვს ონლაინ ვაჭრობას საქართველოს ეკონომიკაზე გამოვლენა და დასაბუთება. მიზნიდან გამომდინარე დასახულია ამოცანები: ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ონლაინ ვაჭრობის როლის შეფასება და ონლაინ ვაჭრობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ონლაინ ვაჭრობის შესაძლებლობები და დაბრკოლებების გამოკვეთა. საკვლევ საგანს წარმოადგენს, ონლაინ ვაჭრობაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები. ონლაინ ვაჭრობით მოსარგებლე მომხმარებლები და ონლაინ ვაჭრობაში ჩართული ბიზნესები.

კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები, ჩატარებულია ონლაინ გამოკითხვა და ამასთანავე სიღრმისეული ინტერვიუ. შესწავლილი იქნა საქართველოში არსებული დღევანდელი რეალობა ონლაინ ვაჭრობის სფეროში. ნაშრომში ასევე გამოკვეთილია ის ფაქტორები, რომელიც აფერხებს ონლაინ ვაჭრობის განვითარებას საქართველოში, ასევე საუბარია მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ონლაინ ვაჭრობა ახდენს ეკონომიკაზე გავლენას შემდეგი სახით: ზრდის არჩევანს მომხმარებლებისთვის, ზრდის ხელმისაწვდომობას, ამცირებს დროს და ხელს უწყობს მცირე მეწარმეებს ბაზარზე გასასვლელად.

**ძირითადი საკვანძო სიტყვები: ონლაინ ვაჭრობა, ეკონომიკა, ონლაინ ბიზნესი.**

## Abstract

In the master's thesis "The impact of online trade on the economy of Georgia", the trends of the development of online trade in Georgia are discussed. The types, features and classification of Georgian online stores are presented.

Research is the main goal; Revealing and justifying the impact of online trade on the economy of Georgia. Based on the goal, tasks are set; Evaluating the role of online trade in improving the social condition of the country's population and highlighting the strengths and weaknesses of online trade, the opportunities and obstacles of online trade. The research subject is individuals and legal entities involved in online trade. Consumers using online commerce and businesses involved in online commerce.

Qualitative research methods were used in the research, an online survey and an in-depth interview were conducted. The current reality in Georgia in the field of online trade was studied. The paper also highlights the factors that hinder the development of online trade in Georgia, as well as talks about its strengths and weaknesses, opportunities and threats.

As a result of the research, it was revealed that online shopping affects the economy in the following way; Increases choice for consumers, increases accessibility, reduces time and encourages small entrepreneurs to enter the market.

**Main keywords: online trade, economy, online business.**